ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 3

24 დეკემბერი, 2021 წელი

16:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ დაადასტურა კვორუმი და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი წერილი #12-032134435-03; 10.12.2021 წელი).

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, ქალაქ თბილისის 2022 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტის მოცულობა 1 მილიარდ 305 მილიონ 418, 2 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 255 მილიონ 115,7 ათასი ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 მილიონ 501,2 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ აქცენტი გააკეთა პროექტის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას. ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი 500 000 ლარი, რომელიც მიმართულია იმ სამუშაოებზე, რომელსაც ემსახურება და ახორციელებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია. ეს თანხა მიემართება სამისამართე აბრების დამზადებასა და მონტაჟზე.

როდესაც საკრებულოში პირველად შემოვიდა ბიუჯეტი, VI მოწვევის საკრებულოს პირობებში, კომისიამ რეკომენდაციის სახით მოთხოვნა დააყენა, რომ თანხა გაზრდილიყო 250 000 ლარით. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 2022 წელს ფასების ზრდის პირობებში, ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის სახელშეკრულებო ფასი მოიმატებდა, რაც ბუნებრივად გამოიწვევდა 2022 წელს განთავსებული აბრების რაოდენობის შემცირებას. ასევე, კომისიის ინიციატივით მუშაობა მიმდინარეობს ისტორიული ღირებულების მატარებელ ქუჩებზე და შენობა-ნაგებობებზე, თბილისში გასულ საუკუნეში მისამართის აღსანიშნავად გამოყენებული ე. წ. „სანათიანი აბრის“ დამზადების პროექტზე, რომელსაც დამატებითი თანხები ესაჭიროება. ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა თანხის გაზრდა, თუმცა მერიის სამსახურებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, მათ აქვთ მზაობა, თუ წლის განმავლობაში ეკონომია გაკეთდება სხვადასხვა მიმართულებით და ჩვენც გვექნება საჭიროება, მოხდება ამ თანხების გათვალისწინება. ამიტომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას რჩება ასათვისებლად თავდაპირველად გამოყოფილი 500 000 ლარი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრმა, თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა წინა მოწვევის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივის შესახებ, რაც მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ისტორიული ქუჩებს უკეთდება რეაბილიტაცია, შესაძლებელია აღნიშულ ქუჩებზე, მაცხოვრებლების სურვილის გათვალისწინებით განთავსდეს ისტორიული დიზაინის აბრები. ასევე წლიდან წლამდე იზრდება დამისამართებული ქუჩების რაოდენობა. მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში ამ თანხების ეფექტური ათვისება, რაც კიდევ უფრო წაადგება ქალაქს. დაახლოებით 13 000-მდე აბრა მზადდებოდა ამ თანხებით, წელს არ დაწყებულა ეს პროცესი, უწყვეტ რეჟიმში რამდენიმე წელია

მიმდინარეობს სამისამართე აბრების დამზადება და განთავსება. მან იმედი გამოთქვა და რომ მერია კვლავ ამ ტემპით გააგრძელებს მუშაობას.

შალვა ოგბაიძემ ისაუბრა დავით აღმაშენებლის ძეგლის კვარცხლბეკზე წარწერის ინგლისურ ენაზე თარგმანის შესახებ. აღნიშნა, რომ წარწერა იკითხება როგორც „დავით მშენებელი" (David the Builder), სასურველია ჩასწორდეს როგორც David Aghmashenebeli.

მამუკა ბალიაშვილის განცხადებით, ხსენებული საკითხის განხილვა სცილდება სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის კომპეტენციას.

შალვა ოგბაიძემ ყურადღება გაამახვილა დედაქალაქში მდებარე ზურაბ წერეთლის მონუმენტის „საქართველოს მატეანის" და ეკლესია-მონასტრების შესახებ, რომელთაც ძირითადად არა აქვთ საინფორმაციო აბრა და არ ვიცით ვისი სახელობისაა ესა თუ ის საკულტო დაწესებულება. სასურველი იქნება თუ ერთიანი სტანდარტით განთავსდება საინფორმაციო აბრები.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ამ ნაწილში ეკლესია-მონასტრებთან სასურველია განთავსდეს დგარიანი აბრები, რომელიც გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, იმაზე მეტთან, ვიდრე სამისამართე აბრების დამზადების საჭიროება მოითხოვს. ვინაიდან დედაქალაქში დგას სამისამართე აბრების პრობლემა, პრიორიტეტი არის სამისამართე აბრის დამზადება-მონტაჟი, რათა კონკრეტულ მისამართს მიაგნოს სასწრაფომ, სახანძრომ და ასე შემდეგ, ამიტომ შედარებით მეორეხარისხოვანია საკულტო ნაგებობებთან დგარიანი აბრების განთავსება. რაც შეეხება ძეგლებს, როდესაც მერიაში ცხადდება კონკურსი ძეგლების შესახებ შესაბამის კომისიაში, საკონკურსო პირობებში უნდა იყოს ჩადებული, რომ ძეგლის განთავსებისას გაკეთედეს ძეგლის აღწერა და საინფორმაციო აბრა. ახლა რა პირობებითაც ბიუჯეტს მხარს ვუჭერთ და რა თანხებიცაა გამოყოფილი, ფიზიკურად შეუძლებია ზემოთ დასმული საკითხის დაკმაყოფილება.

რაც შეეხება ზურაბ წერეთლის მონუმენტს, სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა ისაუბრა, რომ ეს მონუმენტი სავარაუდოდ არის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი და საკითხის გადაჭრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პრეროგატივაა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრების მოსმენის შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე